[illegible]

570 1918 წ. ოთხშაბათი ოქტომბერს 30. № 370

ხალხის საქმე

ფასი 50 კაპ.
რკინის გზებზე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

გერმანელები დასავლეთის ფრონტზე ზოგ ადგილას იერიშებზე გადავიდნენ. სომეხ-ქართველთა ურთიერთობა უნჯობესდება. საქართველოს წარმომადგენლად ნორვეგიასა და შვეციაში დაინიშნა— მიხ. წერეთელი, ხოლო შვეიცარიაში გ. სუმბათაშვილი.

ქეთევან მიხეილის ასული და მარიამ კონსტანტინეს ასული ვაჩნაძენი აუწყებენ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა დაუვიწყარი სიძე

მავრი მიხეილის ძე ყიფიანი.

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 8 ს. ალექსანდროვის ქ. № 56. გასვენება ოთხშაბათს ოქტომბრის 30-ს სალამოს 5 ს დაკრძალვა ს. ქვიშხეთში. 2259

ოლგა კარლოს ასული და ელენე კონსტანტინეს ასული ყიფიანი გულითადი მწუხარებით აუწყებენ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, პირველის საყვარელი შვილი და მეორის—მეუღლე

მავრი მიხეილის ძე ყიფიანი.

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 8 ს. ალექსანდროვის ქ № 56. გასვენება ოთხშაბათს ოქტომბრის 30-ს სალამოს 5 ს. დაკრძალვა ს. ქვიშხეთში. 2259

მწუხარებით გულდამწვარნი, მშობლები ბარბარე და ქრისტესია, მეუღლე თამრო, ძმები: ვანო და სტეფანე, დები: მარიამი და სონა, დისწული ნინო კიკნაძე, სიძეები მიხეილ ძიძაძე და ზაქრო ხახობოვი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ნუგეში

კოლა ქრისტესიას ძე გუთლიაშვილი.

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან ხუთშაბათს, ოქტომბრის 31-ს დილის 10 საათზე (ცხრამეტი თებერვლის ქუჩა 66) მიასვენებენ ანჩისხატის ეკლესიაში, წირვის შემდეგ დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი ოქტომბრის 30-ს სალ. 5 საათზე. 2252

სოსო ჩიტოშვილი, იოსებ თანდილაშვილი და კოლა სესიაშვილი, დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ოქტომბრის 27-ს გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი და მეგობარი

კოლა ქრისტესიას ძე გუთლიაშვილი.

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან ხუთშაბათს, ოქტომბრის 31-ს, დილის 10 საათზე (ცხრამეტ თებერვლის ქუჩა № 66) მიასვენებენ ანჩისხატის ეკლესიაში. წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი ოქტ. 10-ს სალამოს 5 ს. 2252

ღრმად დამწუხარებული მეუღლე სადიკო საბის ასული ბავშვებით, ცოლის ძმა ილია იოსების ძე მეუღლით, სოფიო ალექსანდრეს ასული ნასარიძენი, ცოლის და ოსანა საბის ასული ფანჩიკიძესი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 28-ს სალამოს 10 საათზე გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი და დაუვიწყარი

იაკობ ზაქარიას ძე მინდელი.

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6 საათზე. მისამართი: ართვინის ქუჩა, № 6. ცხედარს გამოასვენებენ ხუთშაბათს, ოქტომბრის 31-ს დილის 10 საათზე. 2269

დ. საჩხერეში (სოფ. ჩიხი) შაბათს ნოემბრის 2-ს (ძველი სტ. 19) გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულისა 2 ბრიგადის, 4 საარტილერიო ბატარეის ჯარის კაცი

სტუდენტი ანდროსი,

რასაც აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს მშობლები მღ. ლევანტი და სალომე შვილებით ელპიდი, ტასო და სხვა იაკობიშ[illegible]ები. 2268

ღრმად დამწუხრებულნი მამა ბართლომე, დედა—ედუკსი, მეუღლე—ნილა, დეიდა—ნინო, ძმები—რაჟდენ და ლეონიდე თავისი მეუღლებით, დები: მაშო, თამარ, ნინო, ლიკო, ქეთო და ვერა ხუციშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაცვალებულის

ექიმის რომან ბართლომეს ძე ხუციშვილის

სულის მოსახსენებლად დაკრძალვის მეშვიდე დღეს ხუთშაბათს, ოქტომბრის 31-ს, დანიშნულია ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში წირვა და პანაშვიდი. 2269

განცხადება

ქართულ რკინის გზის ნავთ-სამრეწველო განყოფილების ეზოში, ალექსანდროვის ქუჩაზე № 54, ამა ნოემბრის 1-ლს დილის 11 საათზე (ახალი სტილით) დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა ერთი ცხენისა. 1390

შავი ქვის მრეწველთა საბჭო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ საბჭოს კანტორა გადმოტანილი იქნა ქუთაისიდან ტფილისში და მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე სახლი № 19 მესამე სართულში. 1389

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 30-ს, გაიმართება

უდიდესი საატრაქციო წარმოდგენა



20 პირველ ხარისხოვან ნომრებისაგან შედგენილ დღეს განსაცვიფრებელი სანახაობა. ცნობილი ქართველი მსახიობი ნიკოლინი გაფრინდება ცირკში ჰაეროპლანით დღეს, ჯერ არ ნახული ახალი კაბარეა.ტ ფილი[illegible]ელი ვანო კანტორაში ჰომერიული სიცილი. მონაწილეობას მთელი დასი. დასაწყისი სალამოს 8 საათზე. ანონსი: მზადდება გრანდიოზული ბენეფისი ხალხის საყვარელ ხუმარებისვიქტორისა და დიმისა.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2271

ახალი კლუბი (საზამთრო შენობა)

ოთხშაბათს, ოქტომბრის 30-ს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიულ გაზეთის „შრომა“-ს ფონდის გასაძლიერებლად გამართული იქნება

I. სიმფონიური ორკესტრის კონცერტი

ა. ა. ცენოვსკის გამგეობით

მონაწილეობას მიიღებენ ოპერისა და დრამის მსახიობნი: ბ.ბ. ზალიპსკი, ვრონსკი, საბინინი, ჰანა სკ[illegible]ცკაია, სპანიოლი, ივგენი კრგეევი, ზარდალოვი და სხ.

II. ამერიკული ბაზარი. კონფერანსიე **სერ-ბრიფ.**

როიალთან: ა. ა. ცენოვსკი, ე. დ. საბინგოს. პასუხისმგებელნი გამგენი ქ-ნი ჴ. ლორთქიფანიძე, ექ. ი. აბ[illegible]კელია 2262

ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზდათა საყურადღებოდ.

საინჟინერო-სატეხნიკო სექციის უფროსი ამით აცხადებს, რომ არსებულ რადიო ტელეგრაფის შესასწავლად საჭირონი არიან ახალგაზრდა ჯარის კაცნი საშუალო ტეხნიკურის განათლებით. მსურველთ ევალებათ მიმართონ საინჟინერო-სატეხნიკო სექციას, რომელიც იმყოფება ტფილისში სასახლის ქუჩაზედ ყოფილ მთავარი შტაბის შენობაში მეოთხე სართულზედ ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

1381 სამხედრო ინჟინერი პოლკოვნიკი თაყაიშვილი.

საინჟინერო-სატეხნიკო სექცია იწვევს სამხედრო სამსახურში უკვე წინანდელ სამსახურში ვადა შესრულებულ უნტერ-ოფიცერთ და ზედამდეგებს (ფელდფებელებს) საპიორთა და ტელეგრაფისტებთა შემდეგს პირობებზე: კანონით გარდა სახელმწიფო ულუფისა, ტან-საცმელისა და ჯარისკაცის ჯამაგირისა დამატებით მიეცემათ კიდევ 250 მანეთი ყოველ თვე, ზემოხსენებულ პირთ. მსურველთ ევალებათ გამოცხადების დროს უსათუოდ წარმოადგინონ თავიანთ უწინდელი სამსახურის შესახებ საჭირო საბუთები; ვისაც ეს საბუთები არ ექნება, საქმსახურში მიღებული ვერ იქნება. დაწვრილებით ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ ტფილისში საინჟინერო-სატეხნიკო სექციაში ყოფილი მთავარი შტაბის შენობაში სასახლის ქუჩაზე, ნაშუადღევის 2 საათიდან ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა. 1375

მოწოდება

ოქტომბრის 12-ს დ. საჩხერეში ცეცხლისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი ამით მიმართავს თავისუფალ საქართველოს გულშემატკივარ მოქალაქეთ არ დაიშურონ თავისი წვლილი უმწეო მდგომარეობაში მყოფთათვის, რომელთა რაოდენობა აღემატ[illegible] ცისშვეშ; ღვთის ანაბარად დაყრილ 40-ს ოჯახს.

დაზარალდნენ აგრეთვე კულტურული დაწესებულებანი: თეატრი, სამკითხველო და კოოპერატივი. შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: **საჩხერე კომიტეტის თავმჯდომარეს ექიმ ჭოლოშვილს.** 1388

მოქალაქენო, გაერთიანდით!

ცენტრალური გაერთიანებული კომისია მოქალაქეთათვის პურის მისაწვდენად დაარსებული, რომელიც შესდგება გერმანელთა საეკონომიო მისსიის წარმომადგენელისა, ქალაქთა კავშირებისა და ტფ. ქალაქის გამგეობისაგან ამით აცხადებს, რომ **ნოემბრის დამდეგს** მოქალაქეებს მიეცემათ სულზე **ნახევარი გირვანქა პური** დაახლოვებით 1 მ. 50 კ. გირვანქა.

პური მიეცემა **მხოლოდ სახლის კომიტეტებს**, ან გაერთიანებულ კომიტეტებს იმ წესით, რომელიც შემუშავებული იყო ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ.

პურის გაყიდვის ადგილები ჩამოთვლილია ყველა საუბნო სასურსათო კომიტეტში.

მოქალაქენო, დაარსეთ სახლის და სარაიონო კომიტეტები.

1382 **ტფ ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.**

ტფილისი, ოქტომბრის 30.

უსაფუძვლო პრეტენზიები.

არა ერთხელ და ორჯელ გაგვიგონია ჩვენის მეზობელ ერის წარმომადგენლებისაგან, სადავო ტერიტორიების მდგომარეობის გამორკვევის დროს თვით მცხოვრებლებს დ[illegible] ეკითხეთო. განსაკუთრებით ხშირად იმეორებენ ამ საბუთს სომხები და ის წრეები, რომელთაც სომხების პრეტენზიები სულ სხვანაირი მიზნებით ჰსურთ გამოიყენონ. იყო დრო, როდესაც ჩვენ ეთნოგრაფიულ პრინციპს ტერიტორიის გადამიჯვნას საფუძვლად ვუდებდით. მაგრამ ეს მაშინ იყო, როდესაც ჩვენ რუსეთის ნაწილს შევადგენდით, ტერიტორიალური ერ[illegible]ეული შინაური თვითმართველობისთვის გვინდოდა და არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა საზღვრების დაცვის საკმისთვის ჩვენ თითონ გვეფიქრა. საქართველოს რე[illegible]ლური ტერიტორიის იქით ჯერ კიდევ ბევრი ისეთი ადგილი იყო, რომელიც ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა და, როგორც რუსეთის საერთო საზღვარი, იცავდა საქართველოს ეთნოგრაფიულ საზღვარსაც. სულ სხვანაირი მდგომარეობა დაიბადა ეხლა, როდესაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაიქცა.

ჩვენ ეხლაც იმ აზრისა ვართ, რომ სხვისი ტერიტორია ჩვენ არ გვინდა. ჩვენში არ მოიპოვება არც ერთი ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც იმპერიალისტურ გზას ადგეს და საქართველოს ტერიტორიის გაფართოვებას მოითხოვდეს სხვა ეროვნების ხარჯით ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რასაც ნიშნავს ეროვნულად აჭრელებული სახელმწიფო. ძალიან კარგად ვიცით, რომ ასეთი სახელმწიფო დაუსრულებელი ეროვნული კონფლიქტებისა და ბრძოლის ასპარეზად გადაიქცევა და ხელს შეუშლის დემოკრატიის კულტურულს წინ მსვლელობას.

მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს თითქოს ჩვენ შეგვიძლიან სოფელ-სოფელ დავჭრათ მთელი საქართველო და ეთნოგრაფიული პრინციპის მიხედვით ერთს სოფელს სომხეთში უკრათ თავი, მეორეს—ადერბეიჯანში და მესამეს—იქნება რუსეთში. ამნაირის თვალსაზრისით საქართველოს საზღვრების გამორკვევასა და განმტკიცებას ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ. აღმოსავლეთის საზღვრების გამორკვევის დროს ჩვენ მარტო ეთნოგრაფიულის მოსაზრებით ვერ ვ ხელმძღვანელებთ. ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავთანხმდებით ვერც იმას, რომ საქართველოს საზღვარმა სადმე ტრიალ მინდორზე გაიაროს და ამით ღია კარები დასტოვოს იმათთვის, ვინც ჩვენს ქვეყანაში თავისუფლად თარეშს მოისურვებს.

ახალციხე და ახალქალაქი ის ადგილებია, რომლებიც ისტორიულად განსაკუთრებით საქართველოს თავის დაცვის ინტერესებმა წარმოშვეს. ბორჩალო ის კარებია, საიდანაც თავისუფლად შეუძლიან შემოსვლა მტერს. თუ ეს ადგილები საქართველოს არ ეკუთვნის, მისი სახელმწიფოებრივი საზღვრები ვერასოდეს ვერ იქნება დაცული სათანადოდ.

ჩვენ გვესმის ადგილობრივ მცხოვრებთა დაკითხვა, ზემოხსენებული ადგილების მცხოვრებნი ერთს კომპაქტურს ერთეულს რომ წარმოადგენდეს და დასახლებული იყოს ისეთის ელემენტით, რომელიც ხელოვნურად არის დაკავშირებული საქართველოსთან. მაგრამ არსებითად ეს ასე არ არის. ბორჩალო ეკონომიურად და სოციალურად ტფილისის გუბერნიის განუყოფელი, ორგანიული ნაწილია, მიუხედავად იმისა, რომ ბორჩალოს მაზრის ზოგიერთ ადგილას აქა-იქ სომხებიცა სცხოვრობენ. არამც თუ ტფილისისთვისაა საჭირო ბორჩალო, ბორჩალოსთვისაც საჭიროა ტფილისი. მოსწყვიტეთ, ბორჩალო ტფილისს, ბორჩალოსა და ტფილისს შუა აღმართეთ კედელი საბაჟოებისა და თქვენ დარწმუნდებით, რომ მას სული ამოხდება თავის ვიწრო ფარგლებში. მხოლოდ შოვინისტური გაუმაძღრობით შეიძლება ბორჩალოს მაზრა ჩამოსჭრან საქართველოს და ამით იგი გავერანებულ ადგილად აქციონ.

ეთნოგრაფიული პრინციპი ყველგან და ყოველთვის მოსატანი არ არის, ნუ თუ ვისმეს შეუძლიან სერიოზულად სთქვას, რომ ბათომის მდგომარეობის გამოსარკვევად, მაგალითად, საჭიროა ბათომის მცხოვრებთა დაკითხვა. თვით ბათომში არც ერთი ქართველი რომ არა სცხოვრობდეს, იგი მაინც საქართველოს განუყოფელ ნაწილად დარჩება, როგორც ისეთი ქალაქი, რომელიც, ერთის მხრით, სამაჰმადიანო საქართველოს ცენტრს შეადგენს და, მეორეც, უძვირფასესი სიმაგრეა საქართველოს საზღვარზე. დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს ყველა, რომ ქალაქ ბათომის მდგომარეობა თვით ბათომის მცხოვრებთა დაკითხვა საკითხს ვერ გადასწყვიტავს.

საქართველოს მთავრობაც ვალდებულია ამ თვალსაზრისით შეხედოს საზღვრების გამორკვევას. რაკი დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ და თავისუფალ საქართველოს ვაშენებთ, საზღვრების გამორკვევის დროს სტრატეგიული მოსაზრებანიც უნდა მივიღოთ მხედველობაში და ჩვენი ქვეყანა ღიად არ დავსტოვოთ.

ნურავინ მოიტყუებს თავს იმით, თითქოს საქართველო ადვილად დასთმობს ისეთს ადგილებს, ურომლისოდაც მისი საზღვრები და ტერიტორიალური ხელშეუხებლობა დაცული არ იქნება.

სომხეთის ვექილები საქართველოში

საქართველოს პრესა, განურჩევლად მიმართულებისა, ერთნაირად აფასებს სომხეთის მოქმედებას. საქართველო სდგას მომხდარი ფაქტის წინაშე, რომელსაც ვერ უარჰყოფს ვერავითარი მჭერმეტყველება სომხეთის ვექილებისა საქართველოში. ეს ფაქტი გამოიხატება შემდეგში: სომხებმა არ მოისურვეს წინასწარი მოლაპარაკება საქართველოსთან, არ მოისურვეს სადავო საკითხების გამორკვევაც კი. პირდაპირ, იარაღით ხელში, გადმოლახეს ჩვენი საზღვრები და მერე კი დაიწყეს ლაპარაკი შეთანხმებაზე ამ რომ ვიაროთ, სომხებს შეუძლიანთ კიდევ ახალი აგრესიული ნაბიჯი გადასდგან. მათ შეუძლიანთ ლორის შემდეგ მთელი ბორჩალოს მაზრა დაიჭირონ და მოგვთხოვენ, იარაღით ნუ გადაიჭრით საქმეს, როგორმე შევუთანხმდეთ. ბორჩალოს შემდეგ დაიჭერენ ახალქალაქის მაზრას და მერე იტყვიან ეს მაზრა სომხებს თავიანთად მიაჩნიათ

და ამიტომ, თუ შეიძლება მოლაპარაკებით გავათავოთ საქმეო. ახალქალაქის მაზრის შემდეგ ახალ-ციხის მაზრას დაიჭერენ და მერე წუწუნს დაიწყებენ, რად გინდათ იარაღს მივმართოთო, ჩვენ აქ ჩვენს ჯარს ჩამოვაყენებთ და მერე, როგორც ჩვენ „კეთილმეზობლობას" შეეფერება, მოლაპარაკებით გავათავოთ საქმეო. რადგანაც მადა ჭამაში მოდის, სომხებს შეუძლიათ უფრო ღრმად შესტოპონ და ყველა ზემოდ ჩამოთვლილი მაზრების შემდეგ მოგვთხოვონ სიღნაღის მაზრა, ტფილისის მაზრა და ასე იმ დრომდე, სანამ ქართველ ხალხს მოთმინების ფიალა აევსება. ხოლო, როდესაც ეს საბედისწერო ჟამი დადგება, სომხები თავიანთ ჩვეულებრივ საშუალებას მიჰმართავენ და მამა აბრამის ბატკანივით თავს მოისაწყლებენ, რა ვქნათ უბედური ხალხი ვართ, ყველა ჩვენ გვდევნისო.

სწორედ ამ კილოთი სწერს „კავკაზსკოე სლოვო". მას სომხეთის მიერ დაჭერილი ადგილები სადავო ადგილებად მიაჩნია და ამიტომ ამართლებს სომხეთის საქციელს, თუმცა ცოტა უცნაურობად უნდა ჩაითვალოს, რომ ზემოხსენებული გაზეთი, რომელსაც თავისი თავი საქართველოს ინტერესების დამცველად უნდა მიაჩნდეს, ასეთს გულუხვობას იჩენს საქართველოს ტერიტორიის განიავებაში. ძალიან დამახასიათებელია ეს ფაქტი საქართველოს იმ „მოქალაქეთა" სულიერი განწყობილებების გასაცნობად, რომელნიც ჯერ ისევ გუშინ ამტკიცებდნენ, საქართველოს რესპუბლიკის ერთგული მოქალაქენი ვართო. ერთგულებაც ასეთი უნდა? მაგრამ ეს სხვათა შორის. არსებითად კი „კავკაზსკოე სლოვოს" უნდა მოვახსენოთ, რომ იგი განზრახ იბრმავებს თვალებს და არა ჰსურს დაინახოს ის უბრალო ფაქტი, რომ სომხეთმა მორიგებით კი არა, იარაღით მოისურვა სადავო საკითხების გადაწყვეტა. სომხეთმა ჯარი გადმოიყვანა ჩვენს საზღვარზე და მერე შემოგვითვალა მორიგებით გავათავოთ საქმეო. ვისაც მშვიდობიანი საშუალებითა ჰსურს კონფლიქტების გადაწყვეტა ის ასე არ იქცევა. ამიტომ, ჩვენის აზრით, მშვიდობიან მოლაპარაკებას წინ უნდა უძღოდეს ჯარის გაყვანა ჩვენი ტერიტორიის საზღვრებიდან. სანამ ეს ასე არ მომხდარა, სანამ სომხეთი თავის პრეტენზიებს იარაღზე ამყარებს, საქართველოც იძულებული იქნება და არის თავისი სახელმწიფოებრივი პრესტიჟი დაიცვას და ძალით გარეკოს სომხეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან. ეს კი უკვე შეიარაღებულ შეტაკებას ნიშნავს.

შეიძლება სომხეთს სწორედ ეს უნდა. შეიძლება სომხეთს ჰსურს პროვოკაციული საშუალებით საქართველო ომში ჩაითრიოს. მაშინ სჯობიან თვალთმაქცურ ლაპარაკს შეთანხმებაზე თავი დაანებონ და პირდაპირა სთქვან, რომ ისინი მხოლოდ ხაბაზს ეძებენ ომის ასატეხად. თუ სომხეთს გულწრფელადა ჰსურს კონფლიქტის მშვიდობიანად გათავება, თუ იგი მართლა მოსურნეა კეთილ-მეზობლური განწყობილება იქონიოს ჩვენთან, მაშინ დაუყონებლივ უნდა გაიყვანოს ჯარი საქართველოდან. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მშვიდობიანი მოლაპარაკება სომხეთთან.

ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით და ეხლაც იმ აზრისა ვართ, რომ მეზობელ ერთა შორის სრული თანხმობა და სოლიდარობა უნდა არსებობდეს. ჩვენ არც ეხლა გავურბით ამ შეთანხმებას. მაგრამ აგრესიული მოქმედება სომხეთისა, მოულაპარაკებლად, გაუფრთხილებლად ჯარის გადმოყვანა ჩვენს ტერიტორიაზე სრულიად არ ეგუება სურვილს კონფლიქტის მშვიდობიანად გათავებისას.

„კავკაზსკოე სლოვო" თავის მეთაურს წერილში სწერს, საქართველოს პრეტენზიები მართალი არ არის. იურიდიულად ის ადგილები საქართველოს არ ეკუთვნის და ამიტომ სომხეთს უფლება აქვს დაიპყროსო. მერე იურიდიულად ეს ადგილები სომხეთს კი ეკუთვნის? სად არის ის იურიდიული ნორმები, რომლის ძალითაც სომხეთს შეუძლიან დაპყრობილი ადგილები მოითხოვოს? კონფლიქტი და შეთანხმება, ეს ორი მომენტი ეხლანდელი მდგომარეობისა ლოგიკური შედეგია სწორედ იმ გარემოებისა, რომ არავითარი იურიდიული ნორმები არ არსებობს. და რახან ეს ასეა, რახან საქართველო და სომხეთი ერთნაირ პირობებში იმყოფებიან ამ მხრით, ამიტომ სადავო საკითხის გადაჭრა შეიძლება ან იარაღით ან შეთანხმებით. „კავკაზსკოე სლოვო"-ს საჭიროდ მიაჩნია სადავო საკითხი შეთანხმებით გადაიჭრას, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია ეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სომხეთმა უკვე იარაღით გადასჭრა ეს საკითხი. ყოვლად შეუძლებელია შეთანხმებას და შეთანხმების პოლიტიკას გზა გაეხსნას იმ დრომდე, სანამ შედეგი სომხეთის ძალადობისა, შედეგი სომხეთის იარაღის ხმარებისა არ მოისპობა. სხვანაირად რომ ვსთქვათ, შეთანხმებაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნება იმ დრომდე, სანამ სომხეთი თავის ჯარს საქართველოს ჯარის მიერ დაცულ ტერიტორიას არ გაანთავისუფლებს და ამ რიგად აღდგენილი არ იქნება კონფლიქტამდე არსებული მდგომარეობა.

ვისაც გულწრფელადა ჰსურს კონფლიქტის დაბოლოვება მშვიდობიანად, ის ამ გზას ვერ ასცდება. და თუ სომხებს საქართველოში მართლა ჰყავთ ნამდვილი გულშემატკივარნი, ასეთი რჩევა უნდა მისცენ სომხებს და ხელი აალებინონ იარაღის ჟღარუნზე, რომელსაც უდიდესი ზარალი შეუძლიან მოუტანოს როგორც ქართველებს, ისე სომხებს.

არ. ჯაჯანაშვილი.

იუდუშკა იმპერიალისტები

რუსის მწერალს სალტიკოვ-შჩედრინს ერთ-ერთ თავის მოზრდილ მოთხრობაში გამოხატული ჰყავს უკვდავი ტიპი იუდუშკა გოლოვლევი. გათახსირებული, ზნე წამხდარი, მლიქვნელი, ძუნწი და ჭუჭყიანი იუდუშკა მზადაა თავისი ღვიძლი ძმა ორ გროშად გაჰყიდოს, ძმისწული ქალები შეაცდინოს და მუდამ ნერწყვ-მორეული, სასოებით აღსავსე სახის გამომეტყველებით კი ხალხს თავს აჩვენებს უმანკო კრავად, ღვთისმოსავ და მოყვარულ ადამიანად. ტარტიუფი მასთან რა არის! იუდუშკა უფრო მდარე და საზიზღარია. მშიშარა, მდაბალი, მრუში და თანაც იმის მეცადინე, რომ ყველამ შეიცოდოს, რაიმე მოწყალება მისცეს, დაეხმაროს და სხვა.

სწორედ რუსთა ცხოვრების ეს ტიპი მაგონდება, როდესაც ვაკვირდები ზოგიერთ რუსის მწერალთა ქადაგებს და ნათქვამს. გულში ხელს იცემენ, ნიანგის ცრემლებსა ჰღვრიან, გვიცოდებენ: საქართველო ვერ გასძლებს დამოუკიდებლად, დაიღუპება, თუ ისევ რუსეთს არ დაუბრუნდაო. სასოებით თვალების მაღლა აპყრობით ეს ვაჟბატონები თავიანთ გაზეთების ყოველ ნომერში ღმერთს შესთხოვენ: აპატიე ამდენი თავხედობა საქართველოს, შეუკვეცე მისი დამღუპველი თავისუფლებაო...

აი, ერთი იუდუშკა რას გვირჩევს „სოციალისტ-რევოლიუციონერთა" გაზეთ „ზნამია ნაროდას" ოცდა მეექვსე ნომერში: ჩვენ ვერ გაგვიგია, რად სთხოვს საქართველოს მთავრობა გერმანიას, რომ მისი ჯარი აქ დარჩეს. გარეშე საფრთხე არ მოგველის (!) და შინ კი სხვანაირი პოლიტიკა უნდა ვაწარმოვოთ: უნდა ვეცადოთ ამიერკავკასიის გაერთიანებასაო.

კეთილი და პატიოსანი ჩვენო იუდუშკებო! მაგრამ ერთი გვიბრძანეთ—რისთვის გნებავთ თქვენ ეს გაერთიანება? გაერთიანებული ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დამცველნი პირველ ჩვენ ვიყავით, მაგრამ მაშინ თქვენგან მოდიოდა ჩვენსკენ ქვა და გუნდა! ისტორიულმა მსვლელობამ ყველას აშკარად დაანახვა, რომ ნამდვილი ერთობა ამიერკავკასიის ერებში ჯერ არ არსებობს. და იმ კონგლომერატში, წინად რომ იყო, უეჭველია ყველაზე წაგებული საქართველო რჩებოდა არამც თუ შინაურ საქმეებში, გარეშე ძალის წინაშეც კი ამიერკავკასია ვერ წარსდგა ერთობილი და ტრაპიზონსა და ბათომში ფაქტიურად ყოველთვის სამი დელეგაცია იყო: საქართველოს, ადერბეიჯანის, სომხეთისა. ამიტომ დაირღვა ხუხულა—ამიერკავკასიის რესპუბლიკა და ხსენებული „ერთობა". ჩვენ არც დღეს ვართ წინააღმდეგნი, მოვითხოვთ და ვცდილობთ კიდევაც განვახორციელოთ—რომ კავკასიის ერებში იყოს შესაძლებელი კონტაქტი. მაგრამ თქვენ რა გსურთ? გაერთიანებას რომ მოითხოვთ, განა თქვენ არ ბრძანდებოდით, რომ ამ გაერთიანებულ ამიერკავკასიის რესპუბლიკის მოსისხლე მტრები იყავით?! განა ეხლა რომ თავი გამოგიდვიათ, წინად იმავე რესპუბლიკას დაარსებიდანვე უძლური, მაგრამ შხამ-ღვარძლიანი ბრძოლა არ გამოუცხადეთ! თქვენ გაერთიანებას მოითხოვთ ნება გვიბოძეთ, ერთი პატარა კითხვა მოგცეთ: რომ გავერთიანდეთ სცნობთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას? ჩვენ ვიცით თქვენი გულის ზრახვანი. ვიცით, რომ თქვენ იმპერიალისტური მიზნები გაქვთ და გინდათ თქვენს დანგრეულ დიდ სამშობლოს კედელში საქართველო და სხვა პატარა ერები ჩაატანოთ ხიმკვიდრისათვის? ანგარიში გეშლებათ ჯენტლმენებო!

ყურადსაღებია აგრეთვე რუსულ „სოციალ-დემოკრატის" უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილი წერილი ვიღაც დ. გ—ხი: „ორიენტაციის საკითხისათვის". მკითხველს ვურჩევთ ეს წერილი გადიკითხოს, როგორც ნიმუში სმერდიაკოვისებური ლიტერატურის და მდაბალი ცინიზმისა. ავტორი ამტკიცებს, რომ ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიამ უნდა იბრძოლონ მთლიანი რუსეთის აღდგენისათვის და კონტაქტი იქონიონ რუსეთში არსებულ ეგრედწოდებულ „დამფუძნებელ კრების ჯგუფთან". საქართველო უნდა შევიდეს რუსეთის საზღვრებში, რადგან ეს მისთვის სახეიროა, ღმერთმა დამიფაროს, ძალით დაპყრობაზე ვილაპარაკო, არა! მე ვამბობ ნებაყოფლობით შეერთებაზეო.

„შეერთება!" ნაცნობი სიტყვაა, ჩვენ კარგად გვესმის იგი ნაცადი. ასის წლის მიანობამ კარგად გვაჩვენა, თუ რას ჰნიშნავს ეს „შეერთება" მცირე ერისა დიდთან! მაგრამ დავანებოთ ამას თავი ავტორი სხვა რასმესაც მოგვთხოვე, თქვენ ხომ „შეუერთდებით" რუსეთს და მისთვის იბრძოლებთ. მაგრამ ეს არა კმარა. ერთა სამშვიდობო კონფერენციაზე „ზოგიერთი სახელმწიფოები გამოიჩინენ ტენდენციას, რათა აღიარონ და გაამაგრონ დანაწილება რუსეთის სახელმწიფოისა. თუ ჩვენ პრინციპიალურად აღვიარებთ მთლიან რუსეთს (ავტორი დარწმუნებულია ასე იქნება! ქ. რ.), ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ამ ტენდენციასაო".

რა ცინიზმია! საქართველომ კონფერენციაზე საკუთარის ხელით გამოიჭრას ყელი და შეეცადოს, რომ „მთლიანი რუსეთისათვის" სხვა პატარა ერებიც ასე მოიქცნენო! საქართველომ მეტად ბევრი სისხლი დაღვარა შინ-ურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში დამოუკიდებელ რესპუბლიკის განსამტკიცებლად. მან ბევრი იბრძოლა იმ აჯანყებათა წინააღმდეგ, რომელნიც თქვენ მოაწყეთ ბატონებო! და ეხლა ნუ თუ იმის იმედი გაქვთ, რომ თქვენს მუხანათურ რჩევას აყვებით და სისხლის მონაპოვარ და გამტკიცებულს თქვენდა სასიამოვნოდ საკუთარის ხელით დავანგრევთ. თავხედები ხართ, თავხედები, მაგრამ ამ თავხედობაშიაც სჩანს იუდუშკას გულზე დაკრეფილი ხელები.

ბოლოს ორიოდე სიტყვა კიდევ: განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვართ და მეტი სიფრთხილე გვმართებს. პრესის თავისუფლება ჩვენ გვესმის. მაგრამ განა შესაძლებელია უცხო სახელმწიფოს აგენტების ასეთი უტიფრობის მოთმენა? ტფილისში არსებობს გაზეთები, რომელნიც უცხო სახელმწიფოს მოსარჩლეობას კისრულობენ და ჰქადაგებენ მათ სასარგებლოდ იმისთანა საკითხებშიაც კი, რომელიც ჩვენ შეგვეხება მაგალითად, „კავკაზსკოე სლოვო" ამ დღეებში ამტკიცებდა, საქართველოს სახელმწიფოს არ ეკუთვნის ბორჩალო და ამიტომ სომხები მართალნი არიან, რომ ამ ადგილებს იჭერენო! ეხლა „სოციალ დემოკრატი" გამომდგარა და სახელმწიფოებრიობის მოსპობას გვირჩევს. შეეფერება ან მოსათმენია განა ასეთი რამ სუვერენულ ქვეყანაში? ჩვენ მივაქცევთ ამ გარემოებაზე მთავრობის ყურადღებას, შეუძლებელია ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგებმა ასე იფარფაშონ. თუ ამათ ნებას ვაძლევთ ყველაფრისას, ბოლშევიკებმა რაღა დააშავეს, ისინიც ხომ ამაზე მეტს არას აკეთებენ.

იუდუშკებს კი გულწრფელად ვურჩევთ: დაანებეთ თავი უნაყოფო ჭაპანწყვეტას, თქვენ შეგიძლიანთ საქმის არევ-დარევა, მაგრამ ქართველ დემოკრატიის ნებისყოფას კი ვერ მოსდრეკთ თქვენს მდაბალ მოღვაწეობაში მშიშრობა და იუდუშკური ლაჩრობა უფრო მეტია. თუ კი მართლა ეგრე გიყვართ თქვენი სამშობლო, რომ ამდენს ქალალდს და მელანს ჰხარჯავთ მისთვის—კეთილ ინებეთ და მიბრძანდით, მიეშველეთ მართლაც განსაცდელში მყოფს რუსეთს, იქ იბრძოლეთ „მაღალ იდეალებისთვის" და თვით ველიკოროსიის მთლიანობისათვის. მაგრამ თქვენ ლაჩრები ხართ და სხვისი ხელით გნებავთ ნარის გლეჯა.

ნურას უკაცრავად, თუ თქვენი შავი გული ჩვენთვის ცხადი იყონ და სმერდიაკოვისებური თქვენი ლუღლუღი ყურად არ ვიღოთ.

ქ. რაჭველიშვილი.

მთავრობაში

საქართველოს რადიოს ინსპექტორმა აცნობა მთავრობას, რომ ოქტომბრის 14 ფოთში აღდგენილ იქმნა რადიო-სადგური, რომელსაც დამოკიდებულება აქვს ბერლინთან, სტამბოლთან, ქერჩთან, ნიკოლაევთან და სხვაგან

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ განიხილა კანონ-პროექტი მამულების განაწილების შესახებ. ამ კანონის ძალით აღნიშნულ სამინისტროს საბჭომ დასტოვა 7 მარტის ნორმა

ოქტომბრის 30 ს საღამოს 7 საათზე განათლების სამინისტროში დანიშნულია მთავრობის მიერ შემდგარ განსაკუთრებულ კომისიის კრება. კომისიაში შედიან: შინაგან, სამხედრო და განათლების სამინისტროთა წარმომადგენელნი.

საქართველოს პარლამენტი

(დასასრული *)

შ. ნუცუბიძე (ს.-ფ.) ბატონებო! ძნელია იმ საკითხზე ლაპარაკი, რომელიც ჩვენ წინ სდგას, რადგან იგი შეეხება იმ კეთილ-მეზობლური განწყობილების დარღვევას, რომელიც დღემდის სომეხქართველთა ურთიერთობას ახასიათებს და. ქართველი ერი მუდამ მეგობრულის თვალით უცქერდა სომხის ერს და არ უღალატა ერთხელ აღებულ ხაზს მაშინაც კი, როდესაც ოსმალთა შემოსევის გამო, თვითონაც უკიდურეს გასაჭირს განიცდიდა. მიუხედავად თავისი უმწეო მდგომარეობისა, მან თავის ქოხში ჰპოვა კუთხე განადგურებულ სომხის ერის გადმოხვეწილ შვილებისათვის. დღესაც საქართველოს მიდამოები სავსეა სომეხ ლტოლვილებით და მათ მიმართ ქართველი ერი ძველი სტუმრის მოყვარეობის გზას ადგია. ასეთ პირობებში სრულიად მოულოდნელი და გაუმართლებელია სომხების ანუ უკეთ მისი პოლიტიკური მესვეურების ნაბიჯი. შეუძლებელია ამის მიზეზი თვით სომხის ერში, დემოკრატიაში ვეძიოთ; საეჭვოა, რომ მისთვის ასეთი პოლიტიკა ხელსაყრელი იყოს. სომხის პოლიტიკოსები საკუთარ დემოკრატიის ინტერესებს, სჩანს, უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევენ, ვიდრე გარედან ნაკარნახებს.

ჩვენი დამოუკიდებელი ცხოვრების მოწინააღმდეგებს ჯერ მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი ისმოდა, ერთი არგუმენტი მოჰყავდათ: ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა დასაწყისი იქნება ეროვნული შუღლის გაღრმავების და ხოცვა-ჟლეტისა. დღემდის, მიუხედავად მრავალგვარ მძიმე პირობებისა, ამიერკავკასიის ერებმა უნიადაგოდ დასტოვეს ეს არგუმენტი. იმედი გვქონდა ისე შევსძლებდით მთელი ისტორიული ქარტეხილის დაბოლოებას, რომლის მონაწილენიც ჩვენ ვართ, რომ აღნიშნული არგუმენტი არ გამართლდებოდა. საუბედუროდ, ასე არ მოხდა. სომხის პოლიტიკოსებმა დაარღვიეს არსებული სოლიდარობა. ქართველი ერი თავისუფალია ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. საქართველოს მიზანი იყო ოსმალთა შემოსევისაგან დაეცვა თავისი ტერიტორია, რომელშიდაც ტფილისის გუბერნია უკლებლივ უნდა შესულიყო. ბორჩალოს მაზრის მიმართულებით მან ეს შესძლო და გადაარჩინა უბედურებისაგან იქ მოსახლე როგორც ქართველობა, აგრეთვე სომხობაც. და ვინაც მაშინ დახმარება ვერ აღმოუჩინა ქართველ ერს ამ ტერიტორიის დაცვაში, დღეს მისი მტაცებლობით მითვისებაში დიდ უნარს იჩენს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დავა ტერიტორიის შესახებ იმ გზით ვერ გადაწყდება, რომელიც სომხებს ამოურჩევიათ, ის უნდა გადაწყდეს მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე.

ერთი რამეთი შეიძლება სომხების პოლიტიკის ახსნა უეჭველია, რომ სომხები საერთაშორისო პოლიტიკას ჩვენზე ნაკლებ ყურადღებას არ აქცევენ და იციან, რომ ომი ლიკვიდაციის ხანაშია. შესაძლებელია მათ სურთ თავის გამოსვლით შექმნან თავისთვის ხელსაყრელი პირობები. მათ, ვინაც ომის სიცხოველის დროს თავისი ინტერესების დასაცავად დიდი ნიჭი ვერ გამოიჩინეს, შეიძლება სურთ ომის მიჩუმებისას შეიტანონ ერთგვარი ცვლილება მეზობელ ერებთან ურთიერთობაში, რომ მომავალი კონფერენციისათვის შექმნან ერთგვარი „სტატუს კვო ანტე კონფერენციამ" შეიძლება მათ იმის იმედი აქვთ, რომ კონფერენცია დაადასტურებს შექმნილ მდგომარეობას. თუ ასეთია სომხების სულის კვეთება, შესაძლებელია ისინი ამ შემთხვევაშიაც მოსტყუვდნენ, და თუ მათის მიზეზით ომი არ მომმეერს შუა აუცილებელი შეიქმნა. მისი შედეგი არ იქნეს ისეთი, როგორც ეს სომხების პრეტენზიებს შეეფერება. ძნელი გამოსაცნობია ბრძოლის შედეგი და ვინ იცის, რომ სადავო ხაზი ბორჩალოს მაზრიდან უფრო იქით არ გადაიწიოს, თუ მაინცა და მაინც სისხლის ღვრა აუცილებელი შეიქმნა, სომხის ერის პოლიტიკურმა მესვეურებმა უნდა იცოდენ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ამ მაღალ დარბაზში არ მოიპოვება არც ერთი, რომელმაც თავისი, გარეშე პარლამენტისა მყოფ თანამგრძნობლებთან ერთად უყოყმანოდ არ გაყვნენ თავის მთავრობას, რომელსაც სრულ ნდობას უცხადებენ (საერთო ტაში).

იოს. გობეჩია (ს.-რევ.) თავისი ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ფრაქცია სავსებით ეთანხმება მთავრობას, რომელიც მშვიდობიანი გზით ცდილობს სადავო კითხვის გადაწყვეტას.

იგ. გომართელი („ალიონ."). მგლის თავზე რომ სახარებას კითხულობენ, ის მაინც ტყისკენ თუ თხისკენ იყურება. აი, დღეს ბევრს ჩვენგანს ასე ემართება.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ სომხის ერს განაგებს დაშნაქცუთიუნი. ჩვენ ბევრი შემთხვევა გვქონდა გაგვეგო, თუ როგორ არის ის განწყობილი საქართველოს მიმართ. დღევანდელი მოქმედება დაშნაქცუთიუნისა შეიძლება ბევრს უკვირს. დაშნაქცუთიუნისაგან კი ეს მოსალოდნელი იყო: როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა დაშნაქცუთიუნის ორგანო სწერდა: „დადგება დრო და სამაგიეროს გადაგიხდითო" (ადგილიდან: „ეს პროვოკაციაა") და სწორედ ეხლა აპირებენ ისინი გადახდას

აქ რომ ტაშით შევეგებეთ დაშნაქცუთიუნის წარმომადგენელს, იქ მისი ამხანაგები ზარბაზნებს ამზადებენ.

მოსაწონია ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმული ზომა. მე მინდა მხოლოდ გავიგო აქაური სომხობა რას ჰფიქრობს, როდესაც იქ დაშნაქცუთიუნის პარტია საქართველოს წინააღმდეგ იბრძვის.

სპ. კედია (ნ. დ.) საქართველოს დამოუკიდებლობა 100 წლის ტანჯვით გამოვისყიდეთ და მთელი ერი შეუდგა მთელი თავისი ენერგიით სახელმწიფოს აშენების საქმეს. და აი, ამ მუშაობის დროს ომის გამოუცხადებლად გადმოლახეს ჩვენი საზღვარი და იერიში მიიტანეს მთელი ერის საკუთრებაზე. აქ საჭიროა მოხდეს მთელი ერის გაერთიანება.

მთავრობამ დაგვიმტკიცა თავისი ზომებით, რომ ის ღვიძლი შვილია ქართველი ერის ტრადიციების.

საჭიროა დაიკეტოს ჩვენი საზღვრები და გადაიჭრას ლტოლვილთა საკითხი: ჩვენს ქვეყანაში ბევრი არის სომეხთა ლტოლვილი, რომელთაც შეძლების და გვარად ვინახავთ. დღეს როდესაც სომხებს არ სურთ მეგობრული კავშირი ჩვენთან, საჭიროა გადაიჭრას ლტოლვილთა საკითხი.

ეროვნულ-დემოკრატები მთელ თავის ძალას მოანდომებენ, რომ მთავრობას დაეხმარონ.

გრ. ვეშაპელი (დამოუკ. ნ.-დ.) უფრო სკეპტიკურად უყურებს მდგომარეობას. ის ეხება სომხების მიზნებს და ამბობს: სომხებს იმედი დაეკარგათ, რომ ოდესმე შექმნიან ოსმალეთში სახელმწიფოს და ისინი სცდილობენ საქართველოში შექმნან იგი. მათი ეხლანდელი პოლიტიკა არ არის მხოლოდ პოლიტიკა ლორისა, ეს არის პოლიტიკა ტფილისისა.

უნდა იცოდნენ სომხებმა, რომ ჩვენ იმდენი ნაბიჯი უკვე გადავდგით, რომ რეაქცია მათ ეხლანდელ გამოსვლაზე საქართველოს წინააღმდეგ, უფრო მეტი იქნება, ვიდრე ნატანებში იყო.

ტერ-ავეტიქიანცი (დაშნ.) ბოდიშს იხდის, რომ ქართულად კარგად არ ეხერხება ლაპარაკი და შემდეგ განაგრძობს რუსულად: ჩვენი ფრაქცია მიესალმება ყველა ზომას, რომელიც მთავრობამ მიიღო. წარუხოცელი ჩირქი მოეცხება როგორც საქართველოს, ისე სომხეთის მთავრობას, თუ მათ მშვიდობიანი გზით არ გადასჭრეს ეს საკითხი.

ამ უზენაეს დაწესებულების ტრიბუნიდან უარვყოფ ყველა იმ ბრალდებებს რომელიც აქ ბ-მა გომართელმა წამოუყენა დაშნაქცუთიუნის პარტიას. ეს პარტია მუდამ იყო დამცველი დემოკრატიისა; სომხის დემოკრატია ფიქრობს ისევ, როგორც საქართველოს დემოკრატია. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ორი დემოკრატიის მეგობრული კავშირი არ დაირღვევა. ამისათვის საკმაო ზომებია მიღებული საქართველოს მთავრობის მიერ; საქართველოს მთავრობა

---

*) იხ. „სახ. საქ." № 369.

სამი დღე განუწყვეტლივ ბჭობს და თათბირობს, რომ დაეხმაროს თქვენს მთავრობას აქ და ჩვენსას იქ.

ჭიაბეროვი სოც.-დემ. სახელით ადგენს რეზოლიუციას: საქართველოს პარლამენტი იწონებს ყველა ზომას მთავრობის მიერ მიღებულს და გადადის მორიგ საკითხზე. რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად.

საქართველოს დამოუკიდებლობა და უცხო სახელმწიფოები.

კრების დასასრულს სიტყვა ეძლევა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. რამიშვილს.

მინისტრი **ნ. რამიშვილი** პარლამენტის წევრნო! დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა საქ. მთავრობის წევრნი მუდამ იღწვოდნენ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ეცნოთ უცხო სახელმწიფოებს. საგარეო საქმეთა მინისტრის აკ. ჩხენკელისაგან ცნობები მივიღეთ, რომ ამ მხრით მივაღწიეთ სასურველ შედეგებს:

შვეციამ იცნო ჩვენი დამოუკიდებლობა და თანახმა გახდა, რომ სტოკჰოლმში იყოს ჩვენი წარმომადგენელი (ძლიერი ტაში).

შვეიცარიამ თანაგრძნობის ნოტა გამოუგზავნა ბერლინში ჩვენს წარმომადგენელს და იქიდან შვეიცარიაში გაიგზავნა ჩვენი წარმომადგენელი ნოტით (ძლიერი ტაში).

დანიის წარმომადგენელმა აცნობა ჩვენს მინისტრს, რომ იგი მზად არის იცნოს ჩვენი დამოუკიდებლობა (ძლიერი ტაში).

ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი შეეცადა, რომ ნოტა გადაეცა შეთანხმების სახელმწიფოსათვის. ეს მოხერხდა ნორვეგიის საშუალებით: აქ მყოფი, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელნი თანაგრძნობით შეხვდნენ ნოტას და განაცხადეს: გაუგზავნით ჩვენს მთავრობებს ამ ნოტას და თან ჩვენ დასკვნებსაც შევატყობინებთ, რომ ჩვენ მომხრე ვართ—ცნობილ იქმნას საქართველოს დამოუკიდებლობაო (განუწყვეტელი ტაშის ცემა).

საქართველოს დემოკრატიული მთავრობა სხვანაირ მოპყრობას არც მოელოდა შეთანხმების სახელმწიფოთაგან.

მთავრობის მაგიდასთან მჯდომ მინისტრებს მთელი დარბაზი დიდს ოვაციებს უმართავს.

9 საათზე 45 წუთ. თავმჯდომარე კრებას დახურულად აცხადებს.

ომის დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ბერლინი 28 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ღირს აღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა. დეინზის სამხრეთით და ლოგების აღმოსავლეთით და შელდის სამხრეთით არტრთან ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები: ენგლ-ფონტენთან და ფამართან ტყვედ ჩაგვივარდა ინგლისელები.

გერმანიის კრონპრინცის არმია ტოშონიისთან მტერი შეეცადა უაზის არხზე გადასვლას მაგრამ ჩვენი წინააღმდეგობის გამო ვერ შესძლო, უაზისა და სერის შუა ჩვენი ჯარი, რომელიც ორინიისა და ლაფორის შუა სექტორი ეჭირა, ჩვენ დავსწიეთ ვიზის დასავლეთ და კრე'ის აღმოსავლეთ ხაზზე. ვიზის სამხრეთით მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს ახალ ხაზზე. მტერმა მრავალი ჯავშნიანი ავტომობილი დაკარგა და ვაიძულეთ უკან დაეხია. სუშის სექტორში ფრუადმონის და პიურმინის შუა ფრანგების განახლებული იერიში დავამარცხეთ. გუშინ მდინარე ენის დასავლეთით მხოლოდ ადგილობრივ ხასიათის ბრძოლა სწარმოებდა. მდინარე ენის დასავლეთით და რეტელის სამხრეთ-აღმოსავლეთით რეიღისთან ჩვენმა ჯარმა მოიგერია მტრის იერიში. ვუზიერის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. მესტრის აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ.

ჰალვიცის არმია. მაასის აღმოსავლეთ მაღლობებზე კუზენვუას და ორმონტის ტყესთან ჩვენ მოვიგერიეთ ამერიკელთა იერიში.

სამხრეთ-აღმოსავლეთი ფრონტი ჯარის გადაჯგუფება წესიერად სწარმოებს რუდნის სამხრეთით, ტოპოლთან ძლიერი ბრძოლაა მარნის ორივე მხარეზე უმნიშვნელო ბრძოლაა.

სტამბოლი, 28 ოქტ. პალესტინის ფრონტი. ალეპოს ჩრდილოეთით მტერი ჩვენს პოზიციას მცირე ძალებით მოუახლოვდა.

მესოპოტამის ფრონტი ტიგრთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

პარიზი. 28 ოქტ. სამხედრო ცნობა. უაზის ფრონტზე გრანდ-ვერლის პირდაპირ გერმანელები ძლიერ იერიშებს აწარმოებდნენ. სამხრეთ-დასავლეთით რამოდენიმე ადგილი აიღო. პერონის აღმოსავლეთიდან ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია ბუ ლე-პარლის ოლქში ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. უაზისა და სერის ფრონტზე ბრძოლაა. შატო-პორსიენის დასავლეთით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და მაგრდება ხერლის ჩრდილოეთით. დანარჩენ ფრონტზე ღირს აღსანიშნავი არაფერია.

ზავის გარშემო

პრეზიდენტ ვილსონის მოადგილე „პოლკოვნიკი ჰაუსი და ადმირალი ნადსონი“ გერმანიასთან დროებითი ზავის საკითხის გადაწყვეტის დროს და საზავო მოლაპარაკების დაწყებისას, შეერთებულ შტატების წარმომადგენლებად ინიშნებიან.

ვილსონის ახალი მუხლები

ენკენისთვის 27-ს ვილსონმა წარმოსთქვა სიტყვა რომელშიაც შემდეგი 5 მუხლი დაუმატა თავის საზავო პროგრამას:

1) ერთა ლიგაში შესულმა ქვეყნებმა, უნდა უარჰყონ ყოველგვარი კონცესსიები და აღიარონ კავშირში (ლიგაში) შემავალ ყველა ერთა თანასწორ უფლებიანობა.

2) საყოველთაო თანხმობას არ შეუძლიან დაიცვას რომელიმე ერის ან ერთა რომელიმე ჯგუფის ინტერესები თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საყოველთაო ინტერესებს.

3) საყოველთაო კავშირში შეუძლებელია იყოს კერძო კავშირები და შეთანხმებანი ამა თუ იმ ერთა შორის.

4) კავშირში შემავალი რომელიმე ერი არ უნდა გამოეკიდოს თავის ეკონომიურ ინტერესებს, აკრძალულია რაიმე ეკონომიური ბოიკოტი, ხოლო ლიგის უფლებაში რჩება დასჯის საქმე, ამა თუ იმ ერის საერთაშორისო ბაზრიდან გაძევების საშუალებით.

5) ყველა საერთაშორისო შეთანხმებანი და ხელშეკრულებანი, რანაირიც არ უნდა იყონ ისინი, მთლიანად უნდა გამოქვეყნებულ იქმნან საყოველთაო ცნობად. („მშაკი“, № 215).

სომეხ-ქართველთა უთანხმოება

სომხეთის მთავრობის წარმომადგენელმა ჩვენს მთავრობას შეატყობინა: ჯერ საქართველოს და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა კიდევ არსებობს და ბონების მოცემის აკრძალვა უკანონოაო.

ბონების შესახებ გარეშე საქმეთა მინისტრმა სომხეთის წარმომადგენელს უპასუხა, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად ფინანსთა მინისტრს დავალებული აქვს არ მისცეს სომხეთის წარმომადგენელს ბონები მანამდე სანამ ერევნიდან საქართველოს მთავრობის მიერ ოქტომბრის 23-ს გაგზავნილ ნოტის დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მიიღებს.

ახალი ამბავი

◆ **საქართველოს წარმომადგენელი ევროპაში** საქართველოს წარმომადგენლებად ნორვეგიასა და შვეციაში დაინიშნა მიხ. წერეთელი, ხოლო შვეიცარიაში გ. სუმბათაშვილი.

◆ **ლორი და ლტოლვილები**. საქართველოს მთავრობამ აუკრძალა გამოქცეულ სომხებს ბორჩალოს მაზრის ლორის ნაწილში დასახლება. ამის გამო სომხეთა წარმომადგენელმა ჯამალიანმა შემდეგი განცხადებით მიმართა საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს:

„სომხის მთავრობას ყოფილ ბორჩალოს მაზრის ლორის ნაწილი არ მიაჩნია საქართველოს ტერიტორიად და ამიტომ უარყოფს საქართველოს მთავრობის უფლებას, რომლის ძალითაც მან აუკრძალა ლტოლვილებს სომხის სოფლებში დასახლება. თუ მიუხედავად ამისა საქართველოს მთავრობა მაინც ხელს შეუშლის სომეხთა დასახლებას, სომხეთის მთავრობა ამას ჩასთვლის არა სამართლიან აქტად, არამედ ძალადობად“

◆ **ქალაქის საბჭომ** ოქტომბრის 28-ს მოისმინა რა ცნობა სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკათა შეიარაღებულ ნაწილებს შორის მომხდარ კონფლიქტზე, გამოსთქვა სურვილი აღნიშნულ კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულებისა.

◆ **აფთიაქართა დადგენილება**. ოქტომბრის 26 ტფილისის აფთიაქართა სასწრაფო კრებამ დაადგინა: ვინაიდან მთავრობა არ ამტკიცებს ახალ ნიხრს, რომელიც მთავრობის დანიშნულ კომისიისაგან არის შედგენილი, ხოლო ძველ ნიხრით შეუძლებელია წამლების მასალის ყიდვა და მოსამსახურეების ჯამაგირის დაკმაყოფილება გამოუცხადოს მთავრობას და პროფესიონალურ კავშირს, რომ ყოველ პასუხისმგებლობას თავიდან იშორებს ავადმყოფებისა და საზოგადოების წინაშე.

◆ **ახალი წიგნი** რედაქციამ მიიღო ალექს. ჩაჩიკოვის (ჩაჩიკაშვილის?) რუსული ლექსთა კრებული ბ. კრუჩენიხის წინასიტყვაობით. წიგნაკი ორ მანეთად ღირს.

◆ **გემთა მიმოსვლა**. ფოთიდან რუსთა ეროვნულ საბჭოს თავისი წარმომადგენელი ატყობინებს, რომ ამ ჟამად, სატრანსპორტო გემთა მიმოსვლა სრულიად თავისუფლად სწარმოებს ნოვოროსიისკსა, ტუაფსესა და სოხუმს შუა. მიმავალ რუსებს არავინა სჩხრეკავს და ხელს არავინ უშლის.

◆ **დარიალის სიმაგრეები**. საქართველოს არმიის საინჟენერო და სატეხნიკო სექციის უფროსმა დაათვალიერა დარიალის სიმაგრეები რომელიც ახლად შენდება და შეატყობინა სამხედრო სამინისტროს, რომ სიმაგრეები ძლიერ მკვიდრად და მტკიცედ შენდება, მაგრამ მუშა ხელის ნაკლებობა აბრკოლებს მის მალე დამთავრებასაო. ამის გამო სამხედრო მინისტრმა სანაპირო სადარაჯოების უფროსს უბრძანა: მეტის სიფხიზლით აწარმოოს ამ სიმაგრეთა დაცვა მის სააღმშენებლო დამთავრებამდე. სამხედრო მინისტრმა სთხოვა აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა გაიცეს შესაფერი განკარგულება აღნიშნულ სიმაგრეთა აშენებისათვის მუშების გაგზავნისა და სხვა დახმარების აღმოსაჩენად.

◆ **გზათა სამინისტროში** გზათა მიმოსვლის ოლქის უფროსმა გ. თუმანიშვილმა გზათა მინისტრს წარუდგინა მოხსენება აღნიშნულ ოლქის მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების შესახებ.

◆ **ნავთის აღმოჩენა გორში** აღმოაჩინეს 1400 ფუთი ნავთი ნავთის ლექში არეული. ნავთი ტფილისის ბაზარზე გაიყიდება.

◆ **გაძარცვა** ოქტომბრის 28-ს ღამით სასტუმრო „ანგლეტერში“ შევიდა ორი უცნობი და დააკაკუნა ოთახს № 8, სადაც ცხოვრობდა პოლკოვნიკი მილოვი. როცა მილოვმა კარი გააღო, უცნობნი შეცვივდნენ ოთახში მილოვს პირი აუხვიეს და გაიტაცეს 8000 მანეთი.

◆ **მკვლელობა და დაჭრა**. ოქტომბრის 28 ორთაჭალაში ვ. ბარამიძემ რევოლვერით მოჰკლა ე. ჯიქია. გავლილი ტყვია მოჰხვდა აგრეთვე იქ მდგომ ფ. თოიძეს და მძიმედ დაიჭრა.

◆ **ქურდობა** ოქტომბრის 28-ს ნავთლუღის ყორულიდან მოიპარეს შვიდი კამეჩი 17000 მან. ღირებული ქურდი აღმოაჩინეს და შეიპყრეს,

— ოქტომბრის 26 ს ღამით მაღლაკელიძის ბინიდან მოიპარეს 4 ათასი მან. ფული და ძვირფასი ნივთები.

◆ **მკვლელობა** ოქტომბრის 27-ს საღამოს ახალ ბაზარში კ. ბელიევმა ხანჯლით მოჰკლა კ. გალუსტოვი და დასჭრა ასლანოვი.

◆ **ნავთი გზათა სამინისტროს** მოუვიდა 40 ცისტერნი ნავთი, საიდანაც 34 ცისტერნი რკინის გზათა მოსამსახურეებსა და სამხედრო დაწესებულებათ მოხმარდებათ დანარჩენი კი ქალაქს.

◆ **ნავთი ქალაქისათვის** ალავერდიდან ქალაქს მოუვიდა 19 ვაგონი ნავთი ეს ნავთი ქალაქის თვითმართველობასა და ტფილისის რაიონის მექარხნეთა შორის განაწილდება.

◆ **მთავარი ხაზ. ეო.** აცხადებს რომ ნოემბრის 2-ს დილის 10 ს. მთავარ საბაჟოს ეზოში, რომელიც მოთავსებულია ანდრეევის ქ. № 93, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით შემდეგი საქონელი ღვინო, არაყი, ტყავი, გამხმარი ბოსტნეულობა, პაპიროსი, პაპიროსის ქაღალდი, თამბაქო, ღოლბანდი (მარლა) და სხვა წვრილმანი ნივთები.

◆ **მეშვიდე გიმნაზია** (ყოფილი სათავად-აზნაურო) დირექტორი იმ მოწაფეების საყურადღებოდ, რომელნიც ჯერ არ გამოცხადებულან გიმნაზიაში რაიმე მიზეზის გამო, აცხადებს რომ უკანასკნელი ვადა გიმნაზიაში გამოცხადებისა არის შაბათი, ნოემბრის 2-ს, ვინც ამ ვადაზე არ გამოცხადდება გამორიცხულად ჩაითვლება.

◆ **კონცერტი**. ქართული სამუსიკო საზოგადოება პარასკევს, ნოემბრის 1-ს კონსერვატორიის დარბაზში ჰმართავს ფრიად საყურადღებო კონცერტს. საღამო შესდგება განსაკუთრებით გერმანულ მუსიკისაგან.

◆ **სამხედრო მოვალეობა**. იმ კანონის თანახმად, რაიც 1895—1899 წლებში დაბადებულთა ჯარში გაწვევას ეხება, ჯარში გაწვეულნი მოვალენი არიან ორ წელიწადს იმსახურონ. ეს კანონი ეხება ყველა სამხედრო დაწესებულებებში მოსამსახურეთაც. ამის გამო სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა ყველა სამხედრო უფროსისადმი, რომ გადასინჯულ იქმნეს სამხედრო დაწესებულებაში მოსამსახურე მოხელეთა დოკუმენტები და ვინც აღნიშნულ წლებშია დაბადებული დაუყოვნებლივ ჯარში გაიწვიონ და ნამდვილ სამსახურში ჩაირიცხონ.

◆ **სამხედრო საკასაციო სასამართლო**. სამხედრო მინისტრის განკარგულებით სამხედრო საკასაციო სასამართლომ უკვე დაიწყო მოქმედება, რომელსაც ეკისრება საარმიო და სამხედრო სასამართლოთა დადგენილების გასაჩივრების განხილვა. სასამართლოს დროებით თავმჯდომარედ დანიშნულია გენერალი ფილიტინი, დროებით წევრებად: გენერლები ტატიშვილი და მაყაშვილი.

◆ **საზარელი მკვლელობა**. კვირას, ოქტომბრის 27-ს ღამის 11 საათზე მეათე ნაწილის მილიციონერი მალაკნების ქუჩაზე ტფილისის სადგურის მოედნის პირში საშინელ სურათს წააწყდა. ქუჩის პირად ტრამვაის რკინის შოშის ძირზე მიყუდებული უნახავს ტომარაში გახვეული დაგდებული რაღაც ნივთი. ტომარა რომ გახსნეს გამოჩნდა ზეწარი მთლად სისხლით მოსვრილი. გაშალეს და გამოჩნდა ბარძაყში გადაჭრილი ქალის ორივე ფეხები. როგორც ეტყობა ვიღაც გამხეცებულებს მოუკლავთ ქალი და რადგან მისი გადაგდება მთელად და ბოროტების მიჩქმალვა გაჭირვებიათ ქალი ასოებად დაუჭრიათ და ისე გადაუგდიათ. მალე ადგილობრივ მოვიდნენ ხალხი და მილიციონერები, მოედნენ უბანს საქმის გამოსარკვევად.

◆ **შაქარი საქართველოსთვის** ამ მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვა უკრაინის კერძო ბანკთა რწმუნებული ნ. ფ. რუდოლფი, (ყოფილი სამოსწავლო ოლქის მზრუნველი) რომელსაც დავალებული აქვს, საქართველოს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს მოელაპარაკოს და ხელშეკრულება დასდოს უკრაინიდან საქართველოში 300000 ფუთი შაქრის შემოტანისათვის. რუდოლფი უკვე წამოსულა ოდესიდან.

◆ **ფარმაცევტთა ყრილობა**. დეკემბრის პირველს, ტფილისში შესდგება საქართველოს რესპუბლიკის ფარმაცევტთა ყრილობა. ფარმაცევტთა ბიურო უკვე შეუდგა სამზადისს.

◆ **ყაჩაღების დახოცვა**. ოქტომბრის 25-ს ღამით სოფ. ზემო ავჭალაში, ექსენოგევს სახლში მიუცვივდნენ ყაჩაღები. სროლის დროს ექიმმა თავის სახლის აივანზე მოჰკლა ორი ყაჩაღი.

◆ **გაძარცვა გომბორში** უჯარმიდან დაბრუნებულ ფოსტას თავს დაესხნენ ავაზაკები და გაძარცვეს ფოსტალიონი, ჩაფარი და მეეტლე. წაართვეს თოფი, რევოლვერი, ფული და ნივთები.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტი**. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ლექციების კითხვა ნოემბრის პირველიდან დაიწყება.

◆ **თათრები და სომხები**. ყარაბაღში სომეხთა დელეგაცია გაემგზავრა ნური ფაშასთან სომეხ-თათართა საკითხებისა და საზღვრების გამოსარკვევად.

◆ **შუშაში**. შუშაში ოსმალებს 85 საზოგადო მოღვაწე სომეხი დაუტუსაღებიათ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კრება ბიუროში. დღეს, ოქტომბრის 30-ს საღამოს სრულ 7 ს. მოხდება ტფილისში მცხოვრებ წევრთა საერთო კრება. წაკითხული იქნება მოხსენება მიმდინარე მომენტზე.

—

კრება კუკიაში. ხუთშაბათს ოქტომბრის 31-ს საღამოს 7 ს. გაიმართება კუკიაში მცხოვრებ წევრთა კრება. მოხსენებას მიმდინარე მომენტზე წაიკითხავს ამხ. ვან კოტეტიშვილი.

ამხანაგებისთვის კრებაზე დასწრება სავალდებულოა. კრება გაიმართება ყოფილ სასულიერო სასწავლებლის შენობაში ჩერქეზიშვილის ქუჩაზე.

—

კრება ნაძალადევში. პარასკევს ნოემბრის 1-ს საღამოს 7 საათზე დანიშნულია ნაძალადევში მცხოვრებ ამხ. კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. შალვა ნუცუბიძე.

დღეს, საღამოს 7 საათზე პარტიულ კლუბში მოხდება წევრთა ჩვეულებრივი საოთხშაბათო კრება. პარლამენტის წევრი ამხ. ის. ბარათაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „პარლამენტი და მისი მნიშვნელობა.“

—

იარაღის ნებართვა. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მებრძოლთა რაზმის საბჭო აცხადებს თავისი რაზმელთა საყურადღებოდ, რომ იარაღის ტარების მოწმობები მიცემული საბჭოს მიერ ოქტომბრის 3-დან გაუქმებულია. ახალის მიღება შეიძლება პარტიულ ბიუროში საბჭოს კანცელარიაში 6 საათ. 9 საათ. ხოლო კვირას 11 საათ. 2 საათამდი.

გაზეთ „ტანი“ სომხების შესახებ

სომხები დიდს იმედებს ამყარებენ ფრანგ-ინგლისელების გამარჯვებაზე. მაგრამ როგორ იმედებს ამყარებენ თვით შეთანხმების სახელმწიფოები სომხებზე, შემდეგი ცნობიდანა სჩანს:

ვენის „მიტტაგს ცაიტუნგს“ ციურიხიდან დეპეშით ატყობინებენ:

„ძლიერ ნიშანდობლივია, რომ შეთანხმების პრესსა ბაქოს დაკარგვას ს[illegible]ბით სომხების ღალატს აწერს [illegible]თად, პარიზის გაზეთი „ტანი“ სწერს, რომ ბაქოს ოსმალების წინააღმდეგ იცავდა სამხედრო ნაწილი, რომელიც 7500 სომხისა და 3000 რუსისაგან შესდგებოდა; მაგრამ, როდესაც ამ ნაწილს უბრძანეს იერიში დაეწყო, აღმოჩნდა, რომ ის ღირსი არ იყო ნდობისა, რომელსაც მასზე ამყარებდნენ. ოსმალების შემოტევის შემდეგ **სომხებმა უარი სთქვეს ბრძოლაზე და ოსმალოებთან მოლაპარაკების გამართვა არჩიეს**. ინგლისელებს სხვა გზა აღარ ჰქონდათ და ქალაქი დასცალეს“.

შეიძლება ჩვენმა მკითხველმა იცოდეს კიდეც, რომ გაზეთი „ტანი“ უმნიშვნელოვანესი ფრანგული ორგანოა და ჩვეულებრივ საგარეო სამინისტროს აზრებს ჰხატავს. („ს.“).

რა ხდება იქ?

(საქ. რკინის გზაზე)

საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა ისეთი არის, რომ ყოველ დარგში გაასკეცებული სიფხიზლე გვმართებს ანთებული თვალით და მახვილი ყურით უნდა ვსძებნოთ ყველა ის ავი ელემენტი, რომელიც რაიმე გზით ჩვენს ხელის შემშლელობას მოიწადინებს. ჩვენ კი, დაჭიმული კუნთებით დაუღალავ მომქმედებად უნდა გადვიქცეთ. საქართველოს რესპუბლიკას აჩქარებული აღმაშენებლობა ეჭირვება, და ამ შენობაში ხომ ყველა მოქალაქემ უნდა უნდა მიიღოს მონაწილეობა. როგორც ალალი ისე უნდა დავტრიალებდეთ ჩვენს სამშობლოს და ვდარაჯობდეთ. მაგრამ ხდება ეს ასე? არა. რაც ვსთქვი, ყველა ეს სასურველი კათეგორიაა. არსებულ კათეგორიაზე კი ცოტა სხვა ენით გვეჭირდება საუბარი. და ამ სხვა ენით ამ შემთხვევაში მინდა ვილაპარაკო არა მთლიანად საქართველოზე, არამედ მხოლოდ ერთ დარგზე. მხოლოდ ისეთზე კი, რომელიც ქართულ ცხოვრების ერთ მთავარ ძარღვად უნდა ჩაითვალოს. ეს დარგი საქართველოს რკინის გზა გახლავთ.

შეიძლება მკითხველმა მხრებიც აიჩეჩოს და მობეზრებული კილოთი გვისაყვედუროს რკინის გზის ყბად აღება, მაგრამ ჩვენ შევეცდებით მკითხველის დაყოლიებას, და დაუმტკიცებთ დღევანდელ რკინის გზის მდგომარეობის წყალ-წასაღებობას. და როგორ შეიძლება არ ვწეროთ იმგვარ მდგომარეობაზე, რომელიც ამ რკინის გზაზე არის შექმნილი?

ცალიერ ფრაზებით როდი გესაუბრებით. ჩემს აზრებს ფაქტებითაც დავამოწმებ, და მზათაც ვარ უპასუხო ყველა იმ კოჭლ ქომაგებს, რომელნიც საქ. რკ. გზის უთავბოლო საქმიანობას თავიანთ გახუნებულ კალთას გადააფარებენ. ჩემი წერილის დედა აზრი ის არის, რომ საქართ. რკინის გზის მდგომარეობა არეულია, უწეს-რიგო, და როგორც ამგვარი ვერ ემსახურება თავის დანიშნულებას ფაქიზად და პირნათლად.

რაც ზნეობრივი თვალსაზრისით და არც ეროვნულით, რკინის გზის მუშაობის ხელმძღვანელთა გამართლება არ შეიძლება.

ზნეობრივად: იქ ისეთი ხალხი უდგას სათავეში, რომ ზნეობრივ სილარიბით იჩინეს თავი. რევოლიუციის მომნათვლელმა ცეცხლმა, როგორც სჩანს ვერც მათი გულები გადაახალისა, და ძველი მოხელის გული ისევ იმგვარივე დარჩა მე თანამდებობის პირებს ჩამოვთვლი, რომელთა მოღვაწეობასაც გაკვრით შევეხები, და შემდეგ ნათელი გახდება ყველასათვის 1) მათი ზნეობრივი ავლადიდება, 2) შესაძლოება მათი ამ საპასუხისმგებლო სამსახურში დატოვებისა, 3) და უპასუხისმგებლობა იმ ხელმძღვანელ ორგანოსი, რომელიც პასუხისმგებელი უნდა იყვეს თავის ნამოქმედარის გამო.

ღირებულების თვალსაზრისით არ დამინაწილებია ის ხალხი, რომელზედაც აქ უნდა გესაუბროთ. დავსწერ იმ წესით, რა წესითაც მომაგონდებიან. და პირველად ბ-ნი კო—ლიოვი იჭერს ჩემს ხსოვნაში ადგილს, მისი დიდი წარსული ის არის, რომ 1905 წელს სამი თვით ციხეში იჯდა, როგორც პოლიტიკური დამნაშავე. აქტიური მებრძოლი იგი არ იყო არა დროს. ცენტრალურ კომიტეტისთვის კი დიდი საბუთი აღმოჩნდა სამი თვე ციხეში ყოფნა, და უცოდინარი კაცი ხელ-აღებით დანიშნა რევიზორად. ცენტრალურ კომიტეტის ამ დანიშვნამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მოსამსახურეებში, რომლებმაც პროტესტი გამოუცხადეს ცენტრალურ კომიტეტს და რევიზორი კო-ლიოვი არ მიიღეს. ცენ. კომ. კი პასუხად მიხ. კო—ლიოვი დანიშნა ბუჰლალტერიის და მატერიალურ სამსახურის კომისრად.

შემდეგ დაიწყო შტატების შემცირება. არივ-დარიეს ყველაფერი. ისეთი დამსახურებული მუშა, როგორც კაჩვა მე-14 ხარისხიდან მე-9-ზე ჩამოიყვანეს, რევიზორობა წაართვეს, და რაღაც განგებით მ. კო—ლიოვი მოგვევლინა რევიზორად. შტატების შემცირება მიხ. კო—ლიოვისთვის არ არსებულა. არის ეს კარგი საქციელი? არ ილახება საქმის გარდა ზნეობრივი მხარეც?

აგერ ახლა გ. ც—ვ-ნიევი. წარსულ წელს ამ ტიპმა ჯამაგირების მომატებისას მიიღო მომატებად თვეში 5 მანეთი თვით კი ისე მოახერხა, რომ ამოფხიკა 5 მ. ჩასწერა 10 მ. და ჯამაგირი 101 მანეთი გაიხადა. ეს „პოდლოგი" რასაკვირველია ვერ დაიმალა, და იცით რა პასუხი მისცა კომისიას? მეორე კლასის ბილეთი მინდოდაო. (რკინის გზაზე ასეთი წესი იყო, ვინც 100 მანეთს ზევით იღებდა ჯამაგირს, მას მეორე კლასის ბილეთი ეძლეოდა.) კომისიამ სასტიკად დატუქსა გ. ც—ვ—ნიევი, მაგრამ...

აგერ კიდევ ას—ტ—როვი. ის ტიპიური მექრთამეა და სპეკულიანტი. სამსახურში საჯაროდ ჰყიდდა შაქარს გირვანქას 19 მან.

არის მათი საქციელი ზნეობრივი? მაგრამ შტატების შემცირებისას ბევრი მართლა კარგი მუშა და პატიოსანი კაცი დაითხოვეს, ესენი კი დასტოვეს და ზოგს წარმატებაც მისცეს. ალბად ცენ. კომიტეტს სხვა რამ საზომიც ექნება.

კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ცოტა დავიცადოთ, და ის მაგალითები სხვა დებულების დასამტკიცებლადაც გამოვიყენოთ. ეს დებულება შეეხება ნაციონალიზაციას რკ. გზაზე.

ცენტრალურ კომიტეტის განკარგულებით, და § ბ-ს ძალით, რკინის გზაზე არ უნდა მიიღონ ქართულ ენის უცოდინარი ხალხი. საქმით კი ეს დებულება არ რულდება. მატერიალურ სამსახარის უფროსმა განაცხადა, რომ ჩვენ ვიღებთ დროებით, როგორც დახელოვნებულებსო. მაგრამ ეს ტყუილია. მაგალითად ი—ს ქალი იმ განყოფილებაში, რომლის საქმეებშიც მას არაფერი არ გაეგებოდა. ეს ერთი. შემდეგ ვინმე რ—ი მე-14 კათეგორიიდან მე-9 კათეგორიაში გადაიყვანეს. ეს რ—მა იწყინა და მისცა უარის შესახებ განცხადება. სამსახურის დატოვებისას მიიღო სალიკვიდაციო ფული და... ისევ უკან მიიღეს სამსახურში. სალიკვიდაციო ფული კი შერჩა როგორც მოგება. რას ნიშნავს ეს?

შემდეგ: უკრაინაში გაგზავნეს რკინის გზის მასალის საყიდლად საქართველოს რესპუბლიკის მტერი არ—ნოვი. კარგად ივაჭრებს არა? იქნებ ვისაც შეეხება გვიპასუხოს რას ნიშნავს ეს?

შემდეგ: რკინის გზაზე არსებობს ე. წ. შესაკვეთი განყოფილება („სტოლ ზაკაზოვ") № 1 და 2. № 2—ყიდულობენ ხე-ტყეს შპალებისათვის და სხ. მთავრობის განკარგულებით ამ განყოფილების გამგეებად ქართველები უნდა იყვნენ. ნამდვილად კი უცხოელები არიან და ისეთი ხალხი, რომლებიც საქართველოს მტრობის მეტს არას აკეთებენ.

მაგრამ რამდენი რა ვთქვა? ამგვარი ფაქტებით შეიძლება მთელი გაზეთის ავსება. მე კი საილუსტრაციოდ მჭირდებოდა. კმარა კიდეც. და ამ ილუსტრაციის შემდეგ აბა განსაჯეთ, კარგი მდგომარეობა ყოფილა რკინის გზაზე? ამ ერთეულ მოვლენებისაგან სდგება მთელი სურათიც, რომელიც მეტად შავია და საზარალო. რკინის გზა კი ვიმეორებ საქართველოს ცხოვრების დედა ძარღვია. რკინის გზს მეტი ყურადღების მიქცევა სჭირია. იქ გვმართებს საქართველოს ერთგულ შვილთა თავის მოყრა, მაგრამ შევსძლებთ კი ამას? ჯერ-ჯერობით თითქოს სჯიბრობენ რკ. გზის გამგე კომიტეტები საქართველოს, და თითქოს განგებ ურევენ საქმეს. ეს კი ბოროტი დანაშაულია ფეხ მოუმაგრებელ საქართველოს წინაშე.

საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა ისეთი არის, რომ ყოველ დარგში გაასკეცებული სიფხიზლე გვმართებს. ანთებული თვალით და მახვილი ყურით უნდა ვსძებნოთ ყველა ის ავი ელემენტი, რომელიც ხელს უშლის ჩვენს ეროვნულ საქმიანობას, მაგრამ ვსძებნით კი? ასრულებენ თავიანთ წმიდა მოვალეობას? ამაზე გვიპასუხონ, ვისაც პასუხის გაცემა ევალებათ.

ვა ლი.

ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგნების და მათი სწავლების საზოგადო მიმოხილვა მათემატიკურ განყოფილებაზე 1918—19 წ.

(შემოდგომის სემესტრი)

პროფესორი ა. რაზმაძე. 1 ანალიტიური გეომეტრია სივრტყეზე 4 საათი კვირაში, 2. მათემატიკურ ანალიზის შესავალი, 4 საათი, 3. ფიზიკა, 4 საათი.

პროფესორი ა. ბენაშვილი. 1. სფერიული ტრიგონომეტრია, 1 საათი, 2. საზოგადო კურსი ასტრონომიისა და გეოდეზიისა, 2 საათი (სავალდებულოა გარდა მათემატიკოსებისა, აგრეთვე ბუნებისმეტყველთათვის და ფილოსოფიის დარგში მოსწავლეთ.), 3. საზოგადო კურსი უმაღლეს მათემატიკის, 3 საათი (ბუნებისმეტყველთათვის).

პროფესორი პ. მელიქიშვილი. 1. საზოგადო კურსი ქიმიისა, 3 საათი (ყველა ფაკულტეტ. გარდა სიბრძნის მეტყვ.)

ასსისტენტი ა. ხარაძე 1. უმაღლესი ალგებრა, 1 ნაწ. (დეტერმინანტთა თეორია), 3 საათი, 2. სავარჯიშო მეცადინეობა ანალიტიურ გეომეტრიაში, 2 საათი, 3. სავარჯიშო მეცადინეობა ანალიზის შესავალში, 2 საათი, 4. ელემენტარულ მათემატიკის დამატებითი კურსი (ალგებრა და ტრიგონომეტრია), 2 საათი.

სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. წაიკითხება ანატომია (პროფ. ი. ნათიშვილი), ქიმია (პროფ. პ. მელიქიშვილი) ფიზიკა (პროფ. ა. რაზმაძე) ბოტანიკა (პროფ. ს. ქურდიანი)

სამათემატიკო, საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტზე, ლექციები წაიკითხება დილით 9 ს. 3 სა-მდის ლექციების განაწილების გაგება შეიძლება უნივერსიტეტში.

შესავალ ლექციებს წაიკითხავენ: პროფ. ი. ნათიშვილი (ანატომია ნოემბრის 1-ლს 11—1 ს. პროფ. ა რაზმაძე (უმაღლესი მათემატიკა) ნოემბრის 2-ს, 10—12 ს. ასსისტენტი ა. ხარაძე (უმაღლესი მათემატიკა) ნოემბრის 4-ს 11—1 ს. პროფ. ს. ქურდიანი (ბოტანიკა) ნოემბრის 5-ს 9 ს.

დაჭრილ-დასახიჩრებულთა საკითხი

არ მოიპოვება არც ერთი მოვლენა ჩვენი ცხოვრებისა, რომ საზოგადოებრივი აზრი ასე თუ ისე არ შეხებოდეს, მაგრამ ერთი დიდი საკითხი, რომელსაც ჩვენის აზრით, სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებთან უპირველესი ადგილი უნდა დაეჭირა, საზოგადოებრივ აზრს შეუმჩნეველი დარჩა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ომში დასახიჩრებულთა ბედი და მათი მდგომარეობა. არც პრესას, არც მთავრობას, არც ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს ამის შესახებ ხმა არ ამოუღია. ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში დაჭრილ-დასახიჩრებულთა საკითხს დიდი ყურადღებით ეპყრობიან; საკანონმდებლო თუ საზოგადოებრივ ორგანოებს გამოაქვთ დადგენილებანი, რომლის ძალითაც უზრუნველ-ჰყოფენ მათ სოციალურ მდგომარეობას. განსაკუთრებული აპარატებიც კი არის შექმნილნი, რომლებიც უწევენ მფარველობას ომში დასახიჩრებულთ და მათ ოჯახებს. საქართველოს შვილნი, რომლების დიდი ნაწილი იმის ცდაში იყვნენ, რომ ქართველებისათვის სახელი არ გაეტეხნათ და საქართველოს თავმოყვარეობა დაეცვათ, დღეს ჯან-მთელობა დაკარგულნი და დასახიჩრებულნი, ღვთის ანაბარად არიან მიტოვებულნი. ჩვენი მთავრობისათვის, სამწუხაროდ, დასახიჩრებულთა მდგომარეობის საკითხი, სხვათაშორისო საკითხად არის გადაქცეული.

პენსიის საკითხი, სახელმწიფოსაგან მფარველობის აღმოჩენა, თავ-შესაფარების გახსნა უფეხო-უხელოებისათვის და მრავალი ასეთი საკითხები, მთავრობისაგან ღიად არის დატოვებული. ჩვენს დაუვიწყარ მოძღვრის არჩილ ჯორჯაძის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში, დაახლოვებით შემდეგ ამბავს აქვს ადგილი: საფრანგეთის ერთ ქალაქში, ხიდის კეთების დროს, მომხდარა კატასტროფა, რომელსაც შედეგად მოჰყოლია რამოდენიმე ათეული მუშის დაღუპვა; ეს ამბავი ამოუკითხავთ გაზეთებიდან რამოდენიმე ქართველს და შეუგროვებიათ ფულები მოგროვებას ქალაქ პროვინციებში, ფრანგ „ამხანაგების" ოჯახების სასარგებლოდ, მაშინ როდესაც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ყველაფერი დუღდა და ეს არავის გახსენებია. განა 15 ოქტომბრის პარლამენტის სხდომა ამასვე არ ადასტურებს? აძლევენ 50000 მ. ეგრედ წოდებულ ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტს, მაშინ, როდესაც შინ, ქართველი უფეხონი და უხელონი, შრომის უნარობას მოკლებულნი. მშიერ-მწყურვალნი დაიარებიან. მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, ქართველი დასახიჩრებულნი ხმას არ იღებდნენ და მთავრობას არ აწუხებდნენ, რადგან კარგად ესმოდათ, რომ მთავრობას, სხვა, უფრო მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობანი აწევა თავს. ამ მიზნით, დასახიჩრებულებმა კავშირებიც კი დაიარსეს. დიდია და დაუფასებელი კავშირების ღვაწლი დაჭრილ-დასახიჩრებულთა მიმართ; მიუხედავად იმისა, რომ კავშირები მთავრობიდან დახმარებას არ ღებულობდნენ, მხოლოდ ქველ-მოქმედებით უძღვებოდათ ცხოვრება, მათ მაინც შესძლეს თავის მოვალეობის პირნათლად შესრულება, და თუ არ ყოფილა შემთხვევა დაჭრილ-დასახიჩრებულთა მხრივ ანარქიული გამოსვლებისა, ამაში უნდა უმადლოდეთ კავშირებს და მათ ხელმძღვანელთ.

დღეს, როდესაც ცოტათ თუ ბევრად უზრუნველ-ყოფილნი ვართ შინაურ თუ გარეშე საფრთხისაგან, როდესაც სააღმშენებლო მუშაობა სწარმოებს, საჭიროა მოვალეობის მოგონება საერთოდ დასახიჩრებულთა წინაშე და კერძოდ ომში დასახიჩრებულთა კავშირებისადმი, რომლებსაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ არამც თუ დასახიჩრების, არამედ თვით მთავრობისათვის.

პრესა კი, როგორც საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი, მოვალეა სათანადოდ გააშუქოს დასახიჩრებულთა მდგომარეობა.

ვ. მუს—ნი.

სამხედრო საბეითლო განყოფილების უფროსის საყურადღებოდ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით შეკითხვით მივმართო ბ. სამხედრო საბეითლო განყოფილების უფროსს ქვემო აღწერილ შემთხვევისა გამო. ამ სამი კვირის წინად მეორე საარტილერიო ბრიგადის საბეითლო ლაზარეთში მოიყვანეს მოსარჩენად ორი ავადმყოფი ცხენი, კუთვნილნი ჩვენში მდგომ გერმანელთა ჯარის ნაწილისადმი, ხსენებულ ბრიგადის უფროსმა მოახდინა შესაფერი განკარგულება—მიეღოთ ლაზარეთში და ჩაერიცხათ საკვებზე („ფურაჟზე"), მხოლოდ მათი ექიმობა ლაზარეთის წამლობით თავს იდვა ბეითალმა ქუთათელაძემ, რომელმაც მოსთხოვა გერმანელთა ჯარის სათანადო ნაწილს საექიმო ხელფასად დღეში ხუთ-ხუთი მანეთი თითოეულ ცხენზე,—და შესაფერი თანხით კიდეც იქმნა ამა სამ ღვინობისთვეს დაკმაყოფილებული.

ვინაიდან ამ გვარ ქცევას ბეითალ ქუთათელაძისას კანონიერებას მოკლებულად, გთხოვთ, ბ. სამხედრო საბეითლო განყოფილების უფროსო, განგვიმარტოთ:

ა) როდის შემოიღეს ჯარში ისეთი წეს-რიგი, რომ სამხედრო საბეითლო ლაზარეთში ჯარის ავადმყოფ ცხენის ექიმის მიერ ნახვა-სინჯვაში ჯარის ნაწილი კერძო გადასახადს იხდიდეს?

ბ) თუ ასეთი გადასახადი არსებობს,—ამ რიგად შეკრებილი ფული შედის, თუ არა, ჩვენს სახელმწიფო ხაზინაში—და თუ შედის, სად რომელ კანონის ანუ მთავრობის განკარგულების ძალით? და თუ არა რა უყო ბეით. ქუთათელაძემ ეს ფული (თექვსმეტ თუმნამდის)?

გ) მხოლოდ თუ მართალია, როგორც ბოროტი ენები ამბობენ,—ის თითონ ქუთათელაძემ ჩაიჯიბაო, კვლავ გთხოვთ განგვიმარტოთ: რა ზომები მიიღეთ დამნაშავის წინააღმდეგ, რომ ასეთს ხელმრუდობას შემდეგში მაინც ადგილი არ ჰქონდეს ჩვენს ჯარში და მით ჩირქი არ მოეცხოს ყოველ პატიოსან მუშაკ ბეითალ-ექიმსა.

მესამე ცხენ. პოლკის უფროსი ბეითალი ექიმი რ. ხნიკაძე.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ე. ი. ხირიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დიდ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 34. 301

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალალანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი კაპიტონ კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ქალი რ. ხ. ზიზილ.-ხაბაზიძე მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ხან. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ვორონცოვის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლეობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდიებ ტელ. 104. 2040

ექიმი ნიკოლოზ მასხულაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი მ. მ. მუხრაბიანი
ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ფლექი და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის დღეში ვენის ტიპისა, დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ხაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 სა-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92 1340

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი ი. ძ. ახაძელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდის, [illegible], სასუნთქისა ფილტვების, [illegible] და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ფლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი.
მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი მ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ლ. ა. ხარაიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი
წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. ლევენშტეინისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჰაჭებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებ იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები
გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ხ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 5, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხთვირის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმ ნაგახარდიანის კერძო [illegible] სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. ნ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. გ. ავეტისიანი—კანის და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი
ხ. გ. ავეტისიანი—11—12 [illegible] ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი. 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე"
ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა